სახალხო გაგეთი

№ 486 ოთხშაბათი, 28 დეკემბერი, 1911 წ. № 486

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შორმა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთ"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები, პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. დერესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სახალხის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

უურნალ- გაზეთების სააგენტო

იმპერეთი

— ქუთაისში —

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

1912 წ. „სახალხო გაზეთ"-ზე

და ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის „**იმერეთის**" კანტორიდან.

„სახალხო გაზეთის" კანტორა

ღიაა დილის 9 საათიდან

საღამოს 8 საათამდე

სახალხო გაგეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოცვლელი ფასი — ტფილისისა ტფილისს გარეგ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ეძვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მოწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მოწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.**

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან **არა უგვიანეს 29 დეკემბრისა, სპეციალურად მიეცემა 5%.**

მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

აზნ. გიორგი ზაალის ძე ცალქალამანიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი **ოლღა მიხეილის ასული, შვილი ზაქარია გიორგის ძე** და **რძალი ანნა ნიკოლოზის ასული ცალქალამანიძე.** გამოსვენება საკუთარ ბინიდან, იზმაილოვის შესახვ. სახლი № 4, დღეს; 28 დეკემბერს, დილის 9 საათზე. (1—1017—1)

ნინო ივანესეს ასული შარაშიძისა ოჯახითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 ამ თვეს, ხუთშაბათს, გადახდილ იქნება ქუთაისს, საფიჩხიის ეკლესიაში, 40 დღის წირვა და პანაშვიდი მის ოჯახის საუკეთესო წევრის

ნინო (ქიფშა) ივანეს ასულის გრიგოლ კ ქოქის

მეუღლის სულის მოსახსენებლად. (1—1014—1)

გერასიმე ლავრენტის ძე ქიქოძე და **მეუღლე მისი მატრონა ევთიმეს ასული** აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხვალ, 29 ამ თვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება მეორმოცე დღის პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას

ნინო (ოზეფინა) ივანეს ასულის ქიქოძის

სულის მოსახსენებლად. (1—1013—1)

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს,

თ-დ ვასო ხიდერბეგიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე დაბა სურამში, მის სამარეზე გადახდილ იქმნება წირვის შემდეგ პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შობლები **კნეინა ოლღა გრიგოლის ასული, თ-დი ილია დიმიტრის ძე ხიდერბეგაშვილნი** და **მათი ასულნი.** (1—1012—1)

ქ. ტფილისის ხელის მომწერთ ურიგდებათ

ვ. გუნიას

საბენეფისო წარმოდგენის პროგრამები. (.1669.)

ელპიტი ივანეს ასული ქარცივაძისა და **შვილები: დავით, კონსტანტინე, ივანე, გიორგი, პელაგია** და **თამარა ქარცივაძენი** გულითად მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც პატივი გვცა და გამოგვიცხადა თანაგრძნობა წერილობით, თუ პირად დასწრებით

ერდიშსან ივანეს-ძე ქარცივაძის

გარდაცვალების გამო. (1—1015—1)

გულდამწვარი **ნიკოლოზ ფრანცის ძე** და **ანნა ფრანცის ასული ამირალოვები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მამა

ფრანც ივანეს ძე ამირალოვი.

პანაშვიდი 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე; გამოსვენება 29 დეკემბერს, დილის 10 საათზე (მიხეილის ქუჩა, სახ. № 7), რომის კათოლიკეთა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (1—1019—1)

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი ახალ კლუბისა და ქართულ თეატრისა.

ახალი კლუბი:

ოთხშაბათს, 28 დეკემბერს
სინემატოგრაფი ტ. იაფი ლოტო.
დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათ.

პარასკევს, 30 დეკემბერს,
სინემატოგრაფი ტ. იაფი ლოტო.
დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათ.

შაბათს, 31 დეკემბერს,
„ვნებათა ტალღებში".
მუსიკ. მოზაიკა 3 მოქ. ვალენტინოვისა.
დასაწყ. საღამ. 8 ნახ. საათ.
ახალი წლის დახვედრა (საზოგადო ვახშამი).

ქართული თეატრი:

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს,
ბენეფისი ვ. ლ. გუნიასი.
„იულიოს კეისარი",
ტრაგ. 5 მოქ. შექსპირისა, ი. მაჩაბლისა.
დასაწყ. საღ. 8 საათ.

კვირას, 1 იანვარს, 1912 წ.
„ღ ა ლ ა ტ ი",
დრამა 5 მოქ. თ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა. დასაწყ. საღ. 8 ს.

ორშაბათს, 2 იანვარს,
საიუბილეო წარმოდგენა.
დასაწყ. საღამოს 8 საათ. (3—1650—2)

№ ტელეფ. 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, 1911 წ. **ვ. მესხიშვილის** მონაწილეობით ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვალერიან გუნიას საბენეფისოდ** პირველად ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა

„იულიოს კეისარი"

ტრაგედია 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.

დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელები.

წარმოდგენის დასასრულ გაიმართება

კონცერტი-დივერტისმენტი.

მონაწილეობას მიიღებენ: **ვანო სარაჯიშვილი,** ნიკ. ქართველიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ც. ამირეჯიბი, ნ. გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვ. მონაწილეობას ღებულობს ძველი დასი. **დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი საბენეფისოა. ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად „კორიოლანი", „მასხრები", „ღალატი".

(2.997.1) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ყველაზე ძალიანა საღდება

პ ა პ ი რ ო ს ი

„მ ა რ ს ი",

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ პაპიროს „მარსს"** უნდა ჰქონდეს წარწერა:

„ძმ. სეილანოვები".

(100.1622.13)

ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ

შავი-ქვის მრეწველთა კრების

საგჯო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს

მასწავლებელს,

რომელსაც წელიწადში 1008 მანათი მიეცემა.

თხოვნა უნდა გაეგზავნოს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს 1912 წ. 10 იანვრამდე. (3.1666.1)

სამეცნიერო, საპედაგოგიო და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება"

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი **„განათლება"** გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენიბურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული. ამ ჟამად „განათლება" ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას. იანვრის ნომერში დაიბეჭდება, სხვათა შორის, ირ. ევდოშვილის ახალი პოემა „ქ ა ლ თ ე თ ე რ ი". ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება" შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სამ მანეთად და ათ შაურად (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით ორ მან. მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ ორ მანეთად და ათ შაურად. საზღვარ-გარედ ჟურნალი ეღირება 5 მან. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ივ. ავალიშვილთან და „ნაკადულის" რედაქციაში. ქუთაისში წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი" ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი", ამ ორ ადგილას იყიდები ცალკე ნომრებიც. 1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Боцвадзе.

(3—1442—3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-●●

—●● ლური იგვ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—4 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинский просп. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. ქთავრიშვილთან, მარიან ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტარაფინ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში** ვასილ ანდრეევიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—4 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

საბუქთალოზე **მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საქონი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 200)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 509.

სტაციონალურ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღე და დამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები;

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½ ს. 11 ს.

დავთიანი რ. ს. შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1 2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10 12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9 10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2 3 ს.

მუხხელიშვილი ვ. ს. თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2 2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი. კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1 1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10 12 ს.

მიქელაძე შ. ა. შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½ 1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს. ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12 1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ-დღე 12 1 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ-დღე, 9 11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12 1 ს. **დროებით წასულია.**

წამლოგა „606"-ით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlich-hata). აქვს აგრეთვე საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089. 511)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლოგა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 60).

ყვავილების **სოლეილ დორ** მაღაზია

შტაბის მოედანზე, თამამშვილის ქარვასლის ქვეშ. **საახალწლოდ** დავამზადეთ **დიდ ძალი კალათები, ყარდინირები** და **ყვავილები** ვაზით: სუმბული, ზამბახი, მიხაკი, აზალია, ციკლამენი, ასაუკასი, მსხმოიარე ნარინჯი და სხვანი. ყოველდღე მოგვდის **მცხეთიდან საკუთარ ბაღის** ყვავილები: ია, ამერიკული მიხაკი და სხვანი.

(3—1667—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირა გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ. 1090 239)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-მდე.

ი. მ. ასპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

ვაუკოვი ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

მონსე ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½ 3 საათ.

კალამკაროვი ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

უკლადნიკოვი შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4 5 საათ.

რიდელი შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

თეთრაძე სიფ.-ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½ 12½ საათ.

რუდენკო შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

ყალამქაროვი ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია.

(თ. 1526 33).

დოქტორი მედიცინისა

ე. ი. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მახდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

- საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ. 1591 72)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12 1 ს., საღ. 6 7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 78).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **ქ. ჯაჯანა**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.4)

ექიმი პ. არღაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.35).

ექიმი მ. ს. კოზეერიძე **ქ. გორში**

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ხანგურიძისა. (25 968 12)

ექიმი ზ. მ. ღოლოგორიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4 6 საათ. წამლობა ფოსფაცედით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--5)

ექიმი ნ. ტ. მულინი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 52).

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. აწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--22).

ექიმი კბილისა **ნიკო რაზმაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 56).

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. ყახეთის ქ., № 5.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ხაზლეკ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 67).

26 დეკემბერს

დაკარგე მამულის დოკუმენტები, ავჭალის ქუჩაზე. მპოვნელსა ვთხოვ დამიბრუნოს ამ მისამართით: ალაგირის მისახვევი № 7 (მე-9 საპ. უბ.)

ეკატერინე ივანეს ასული საღირაშვილისა.

(1.1018.1)

ქართული პრესა

გაზეთმა „თემმა“ ამ წლის უკანასკნელი ნომერი გამოსცა და დაჰპირდა საზოგადოებას, შემდეგშიაც ისევე კარგად ვაწარმოებ საქმეს, როგორც დღემდეო. წლიურ მიმოხილვის მაგიერობასა სწევს მოწინავე წერილი, რომელშიაც უმთავრესი ყურადღება თავის თავზეა მიქცეული. რას იზამთ? ყოველთვისა ყოფილა და შემდეგშიაც ისე იქნება, რომ ყვავს თავისი ბახალა მოეწონება. აბა ყური დაუგდეთ:

„დღეს, როდესაც გამოდის ამ წელიწადში ჩვენი გაზეთის უკანასკნელი ნომერი,—სწერს „თემი“,—ჩვენ მოკალეობასა ვგრძნობთ გულითადი მადლობა ვუძღვნათ ჩვენს მუდმივ მკითხველებს, რომელთაც სრულიად გაითვალისწინეს ჩვენი გულის წადილი და „თემი“-ს დანიშნულება. რედაქციის მიერ ამ წლის განმავლობაში მიღებული მრავალი თანამგრძნობი წერილი უტყუარად მოწმობს, რომ მკითხველებს და ჩვენ შორის უკვე გაიბა გრძნობიერი სიმები. საჭიროა მხოლოდ, რომ დრომ და გარემოებამ ჩვენ შეგვაძლებინოს ამ სიმებს უფაქიზად მოვუაროთ, რომ მათ ბუნებრივი ბგერა და ხმა არ დაკარგოდეთ. ამისათვის საჭიროა, რომ შემდეგში მაინც ჩვენმა მკითხველებმა ქება და ხოტბა კი არ გვიძღვნან, არამედ ჩვენს ნაკლზე მიგვითითონ“.

საძაგელი მდგომარეობაა! იმდენი უქიათ, რომ ბოლოს თვითონაც შერცხვენიათ. არა, ბატონო, არც ისეთი კარგი ვარ, როგორიცა გვონიათ, შეცდომებიც მომდის ხოლმე და გთხოვთ ამ შეცდომებზე მიმითითო. სთქვა და თვითონვე შეეშინდა თავისი სიტყვებისა. როგორ მე და შეცდომები! ცუდი შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად „თემი“ შემდეგსა სწერს:

„ჩვენ მიერ მიღებულ წერილებში მეტადრე საყურადღებოა ერთი ნამეტანი თბილ ბულწრფელობით, ერთი ბაქოელი მუშაკაცი გვწერს: **„ვანო მაჩაბლის შემდეგ თქვენ შეგვაყვარეთ ქართველი ინტელიგენტიო“** (ყურსივი „თემი“-საა).

ხომ მოისმინეთ? მაშ, მუხლი მოიდრიკეთ დიდებულ ადამიანის წინაშე, მუხლი მოიდრიკეთ და ისწავლეთ რომ დღეს თუ არის ვინმე—„თემი“ და მისი რედაქტორი! რა მშვენიერი მასალაა იუმორისტულ მოთხრობისთვის!...

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთ „რეჩში“ მოთავსებულია ვინმე დ-რ-ის წერილი რედაქციის მიმართ. წერილი თვისი შინაარსით მეტად საყურადღებოა და იგი სავსებით მოგვყავს:

18 დეკემბერს, საღამოს ხუთ საათზე ეუკოვის ქუჩაზე მიმავალ ოფიცერს ორი ბავშვი ასდევნებია, მოწყალება უთხოვნია მისთვის. ერთი მათგანი გაცხარებით უამბობდა თურმე ოფიცერს თვის გაჭირვებას და ოფიცერიც გულდასმით უსმენდა მას. მოულოდნელად ოფიცერს მეეზოვეთვის დაუძახია და ბავშვების საპოლიციო ნაწილში წაყვანა უბრძანებს. ბავშვები გულზე-ხელდაკრეფილნი ემუდარებოდნენ, თურმე ოფიცერს, პოლიციაში ნუ გაგვგზავნითო. შემთხვევით ამ სცენას ერთი მანდილოსანი შესწრებია, ბავშვების მუდარას მისთვის გული აუყუჩებია და ოფიცერისათვის ზრდილობიანად მიუმართავს: გაანთავისუფლეთ ბავშვები საწყალები, უეჭველია, მშივრები არიანო“.

— თქვენი რა საქმეა.—მრისხანედ უპასუხნია ოფიცერს და მეეზოვეთათვის მანდილოსნის წაყვანა უბრძანებია. მანდილოსანი აღშფოთებული მოჰშორებია ამ ადგილს, მაგრამ მეეზოვე უკან დასდევნებია. „ქალბატონო ოფიცერმა მიბრძანა თქვენი პოლიციაში წაყვანა“.

„თავი დანებეო“—უბრძანებია, ისევ იმ ოფიცერს.

საყურადღებოა ვიცოდეთ, რომელი კანონის ძალით ეძლევა ოფიცერს უფლება ვინც კი ბავშვებს მეტად ზდილობიანი სახით გამოეკომაგება, ყველა პოლიციის ნაწილში გაგზავნოს. და ან ვალდებულნი არიან, თუ არა მეეზოვენი ყველა ოფიცრის ბრძანება შეასრულონ და მის წინადადებით პოლიციაში წაიყვანონო?“.

ასე ათავებს წერილს ბ. დ-რი.

ახალი ამბავი

ტფილისი.

✦ **ახალ ხმოსნებს** საბჭოს კანცელარიამ სხვა და სხვა მოხსენება და ძასალა დაუგზავნა, რათა საშუალება მიეცეთ, თავის დროზე გაიცნონ ქალაქის უმთავრესი საქმეები.

✦ **ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნების პირველი კრება** 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე მოხდება.

✦ **ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნებს** დღეს დააფიცებენ ქალაქის საბჭოს დარბაზში. ფიცის მიღების შემდეგ ხმოსნებს კერძო თათბირი ექმნებათ.

✦ **სახალხო სკოლების დირექტორმა** გუბერნატორს დასაძტიცებლად წარუდგინა სოფლელთა ძუაძდგომლობა გორის მაზრის სოფ. ღირბ-ში სკოლის გახსნის თაობაზე.

✦ **საისტორიო საღამო.** დღეს „ტფ. კრუჟოკ“-ში მე-IV საისტორიო საღამოს მართავს „განათლების“ საზოგადოება. შემოსავალი საზოგადოების სკოლების სასარგებლოდ გადაიდება. საღამოს პროგრამა მრავალ მხრივადა და საინტერესოდ არის შედგენილი.

✦ **თავის მოკვლა.** 24 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე რევოლვერით თავი მოიკლა 18 წლის ქალმა, საფერშლო სკოლის მოსწავლემ არშალუის აგაბასიანისამ. მიზეზი, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ ამ მოკლე ხანში ზედი-ზედ დაჰხოცია ოთხი სტუდენტი ძმა.

✦ 6 იანვარს „ტფილისის კრუჟოკ“-ში **ჩვეულებრი სათავად-აზნაურო ბალი** გაიმართება.

✦ 2 იანვარს, სომეხთა ნერსესიან სემინარიაში **სალიტერატურო და სამუსიკო საღამო** გაიმართება.

✦ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** ზაქათალასა და სოფელ არუთში (განჯის მაზრა) თავისი განყოფილებანი დაარსა.

ქუთაისი.

✦ 22 დეკემბერს განსვენებულ დეკანოზის **დავით ღამბაშიძის** გარდაცვალების წლის თავზე მის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს მოწამეთის მონასტერში.

✦ გუშინ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში 12 საათზე, ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ და მისმა დასმა გადაიხადა ექვსი თვის პანაშვიდი **დ. ზ. სარაჯიშვილის** სულის მოსახსენებლად.

✦ 4 იანვარს ჩვენი დასი, თანახმად ახალგაზდა დრამატურგის **ნ. შიუკაშვილის** წინადადებისა, დასდგამს მის ხელმძღვანელობით „სიმახინჯეს“. ბ-მა შიუკაშვილმა აღუთქვა ქუთ. დრ. საზოგადოებას, რომ ყოველ თავის ახალ პიესას ამ საზოგადოებას გადასცემს პირველად წარმოსადგენად; ჯერჯერობით მოელიან ახალ პიესას „ციცინათელას“.

✦ **ქუთ. დრ. საზოგადოების გამგეობამ** დ. სარაჯიშვილის ქვრივს ქ-ნს ეკატერინეს მადლობის წერილი გაუგზავნა ქუთაისის თეატრისათვის უხვი შეწირულების გამო.

✦ **ხმოსანთა ერთს ჯგუფს** განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, ხელახლა განხილულ იქნას საკითხი ქალაქის უძრავ ქონების ხელახლად შეფასების თაობაზე.

✦ **ქალაქის გამგეობაში** 23-დან 28 დეკემბრამდე მეცადინობა შეწყვეტილია.

ბათომი.

✦ ბათომში აქციზის მოხელეს დუბინინს ჩვეულებად ჰქონია საქციზო მართველობის კანცელარიაში კედელზე ჩამოკიდებულ ყუთიდან, სადაც ბრმათათვის დასახმარებელი ფული იკრიბებოდა, ფულის ამოღება და მისაკუთრება. იგი სამართალში იქმნა მიცემული და სასამართლომ ერთი წლის ციხე და განსაკუთრებითი უფლებათა ჩამორთმევა მიუსაჯა, დუბინინი არც თუ ღარიბი კაცია; იგი წელიწადში 3000 მანეთს იღებდა.

✦ მოსკოვში ერთი ძველი სურათი უპოვიათ, რომელშიაც წმინდა ოჯახია გამოხატული. ხელოვნების მცოდნენი ამტკიცებენ, სურათი **რაფაელის** ნახატიაო.

შეცდომის გასწორება. „სახალხო გაზეთის“ მე-470 ნომერში მოთავსებული იყო წერილი **„ჩვენი საქმე“**, წერილის ბოლოში შეცდომითაა მოხსენებული „მმართველი ქართველთა ძმათა **იოანე“ „უნდა იყოს იონა“**. მეორე ადგილას შეცდომაა. დაბეჭდილია **დარიკოვი—უნდა იყოს ჩარიკოვი.**

შვიდასის წლის ქალი

სწორედ ცხრა წლის წინად (17 სექტ. 1902 წელს) ვწერდი „მოამბეში“ (იხ. იმავე და შემდეგი წლ. №-ები): „სულ ცხრა წელიწადია წინ გვიდევს 700 წლის შესრულებამდე თამარ მეფის სიკვდილის დღიდამ“, და შემდეგ მოვიწვევდი საზოგადოებას ღირსეულად შემზადებულიყო ამ ღირს სახსოვარ დღის დასახვედრად: შევკრიბოთ, ვამბობდი, ყოველი წვლილი, რომელიც კი შეეხება თამარ მეფის ეპოქას,—ისტორიული, ზეპირ სიტყვიერი და „ვეფხის ტყაოსნიანი“ ერთ კრებულად გამოვცეთ იმ დღისთვის მიჰმართვას საზოგადოებისადმი ვთავაზებდით სიტყვებით: „სწორედ დროა, ჩვენც შევუდგეთ საქმეს, ჩვენც მოვკიდოთ ხელი ჩვენთა მამაპაპათა ძიერ შეძენილ მდიდარ კულტურის შესწავლას. მრავალი ჩინებული შენაძენი დაგვეკარგა, მრავალი დაიპარეს, მრავალი შემუსრეს, მრავალს ამტვრევენ, ანგრევენ და ამ ნანგრევებ ში იმარხება მდიდარი წარსული.

ყოველმა დიდებულმა თითო მორჩილი დე ყოველმა ძკირებულმა თითო უხალთუნი რომ მოაწოდოს წ. კ. საზოგადოებას, ის მაინც შეიკრიბება და შეისწავლება, რაც გადაგვრჩენია. მაშ საქმეს შევუდგეთ.

ჩვენი ნათქვამი დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, მხოლოდ **ორიოდ-სამიოდე** წლის შემდეგ ჩვენის აზრის მობაძვად გამოჩნდა ნ. ყიფიანი და ისიც, წარმოიდგინეთ, ბრიუსელში. კვლავ მიყრუვდა გარეშემოს.

ამ მიმდინარე წლის 1-ლ მაისისთვის—თამარობისთვის—დავამზადეთ წერილი „შვიდასის წლის ქალი“, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ (№ 305). ისევ მოვიწვევდი საზოგადოებას ყურადღებით მოჰპყრობოდა მომავალს 18-ს იანვარს. წერილს ყურადღება მიაქცია ერთად ერთმა კაცმა, ცნობილმა ეგნატე მენთეშაშვილმა, რომელმაც იმავე „სახალხო გაზეთში“ აღნიშნა 700-ის წლის თავის დღესასწაულის დიდი მნიშვნელობა ქართულ ერის თვითცნობიერებისთვის.

შემდეგ კვლავ იმავე გაზეთში დავბეჭდე ვრცელი წერილი „შვიდასის წლის ქალი და შავთელი“ (ს. გაზ., № 353).

გავიდა მას აქეთ არა დღეები, ტ კვირეები, არამედ სრულიად თვე და იმავ ქართულ მოჭირნახულე გაზეთში (№ 484) დაისტამბა წერილი გულმისავალ მწერლის თედო სახოკიასი „თამარ მეფის 700 წლის იუბილეი“. ავტორი უსაყვედურებს საზოგადოებას, რომ უყურადღებოდ ეპყრობა აღძრულ კითხვას და არ ზრუნავს ღირსეულად აღნიშნოს თამარის დღესასწაული მაშინ, როდესაც „გარშემო ყველანი იმას-ღა ცდილობენ, რომ დაგვავიწყონ ჩვენი წარსული, მოსპონ მისი ხსენება“.

ბ. სახოკიას შენიშვნას ღირსეულის ყურადღებით მოეპყრნენ „ზაკ. რეჩი“. და „თემი“. კვლავ მოვუწოდებთ საზოგადოებას პატივით მიეგებოს თვისის დიდებულის ხელმწიფის ხსოვნას.

მ. ჯანაშვილი.

გაქოს რამე-რუმე

მკითხველებს ეხსომება თუ რა აურ-ზაური ატყდა ბაქოს ქალაქის **არჩევნების** თაობაზე. პირველ არჩევნებზე გაიმარჯვა მუსულმანებმა და დიდი უმრავლესობა თავიანთი გაიყვანეს, რამდენიმე რუსიც, ხოლო სომხები ერთიანად გააშავეს. ეს არჩევნები დაირღვა და ხელახალი არჩევნები დაინიშნა. მეორე არჩევნებზედაც თათრებმა გაიმარჯვეს, რამდენიმე სომეხი გაიყვანეს, ხოლო რუსები თითქმის ყველანი გააშავეს. ეს არჩევნებიც დაირღვა, მაგრამ ამას მოჰყვა შოულოდნელი შედეგი. მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ ძალაში შევიდეს ის კანონი, რომლის ძალითაც არა ქრისტიანთ ნება არა აქვთ ქალაქის ხმოსანთა ნახევარზე მეტს შეადგენდნენო. ამ განკარგულებამ ადგილობრივ თათართ თავზარი დასცა, მაგრამ „ძალა აღმართს ხნავსო“ ნათქვამია.... ეხლანდელი არჩევნები სულ წყნარად მოხდა. თათრები შეშინდნენ, ვაი თუ უარესი დაგვემართოსო, მოიწვიეს სომხები და რუსების წარმომადგენლები და შეთანხმებაზე საუბარი გამართეს. მორიგდნენ შემდეგ პირობებზე: უნდა არჩეულ იქმნას 40 ხმოსანი მუსულმანი, 20 სომეხი და 20 რუსი აგრედვე გაიყვეს კანდიდატებიც. 8—მუსულმანი, 4—სომეხი და 4—რუსი; დეკემბრის 14 და 21-ს უკვე მოხდა არჩევნები და არჩეულ იქმნენ: 40—მუსულმანი, 21—სომეხი და 19 რუსი; კანდიდატებად—7—მუსულმანი, 5—რუსი და 3—სომეხ. ამგვარად შეთანხმების პირობები თითქმის შესრულებული იქმნა და არჩევნებმაც მშვიდობიანად ჩაიარა.—მალე ქალაქის თავის არჩევნები მოხდება და ვნახოთ ვის აირჩევენ. მიუხედავად იმისა, რომ რაევსკის წინააღმდეგია სომხობაც და თითქმის რუსობაც, შეიძლება ისევ ის აირჩიონ, ვინაიდან იმდენი რთული საქმეები აქვს ეხლა ქალაქს დაწყებული, რომ მის მეტი ქალაქის არეულ საქმეებს თავს ვერავინ გაართმევს და მასთან, თუმც რაევსკი მოუხეშავი და ცოტა თავისებური კაცია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის საქმის მცოდნე არ იყოს. დღეს დღეობით მაინც მეორე კანდიდატზედ არაფერი ისმის.

ადგილობრივ **ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების** შენობის ერთი ნაწილი უკვე დამთავრდა და 24 დეკემბრიდან უკვე საკუთარ შენობაში გადადის ქართული სკოლა. რვა იანვარს გადაწყვეტილა სახლის კურთხევა, ხოლო 14 იანვარს საბავშო დღესასწაული შობის ხით.

21 იანვრისათვის ადგილობრივი ქართველობა ემზადება ტრადიციონულ **ქართულ საღამოსათვის,** რომლიდანც საზოგადოება ყოველ წლივ დიდძალ თანხას ღებულობს. განძრახულია საღამოსათვის მოწვეულ იქმნენ მსახიობი ქალი **ელენე თარხნიშვილისა** და ბ. **სარაჯიშვილი.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადგილობრივმა მდიდარმა მუსულმანმა ბატონმა მუხტაროვმა სურვილი განაცხადა ქართულ საზოგადოების მუდმივ წევრობაზედ და როგორც თვითონ, აგრედვე მისმა მეუღლემ 200 მანეთი საწევრო ფული უკვე შემოიტანეს და, რასაკვირველია, არჩეულ იქმნენ წევრებათ.

სპათაგორელი.

ზელიმ-ხანი

ზელიმხანის შესაპყრობლად ვედენის ოლქში ვინმე ომარა მითადევის მეთაურობით 1000 მიურიისაგან შემდგარი რაზმი დაუარსებიათ. რაზმი უნდა ეცადოს ზელიმხანის ან ცოცხლად შეპყრობას ან მოკვლას, რომ ამით ციმბირში გადასახლებას ააშოროს ჩაჩნების შეიხები, რომელნიც ადმინისტრაციამ ამ ბოლო დროს აითვალწუნა, ზელიმხანის თანამოაზრენი ხართო.

სამღვდელოების ნივთიერი უზრუნველყოფა.

23 ნოემბერს, სათათბიროს 43 დეპუტატმა სათათბიროში კანონმდებლობითი მოსაზრება წარადგინა მართლმადიდებელ მრევლის მოწყობისა და სამღვდელოების ნივთიერ უზრუნველყოფის თაობაზე. კანონმდებლობითი მოსაზრებაში შემდეგი დებულებანია: 1) მართლმადიდებელი მრევლის მიზანია თვის წევრების საერწმუნოებრივი, ნივთიერი და განმანათლებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; 2) მრევლის ორთავე სქესი 2000—3000 სულს შეადგენს; 3) სამრევლოს ორგანოს შეადგენს ყოველ წევრების საერთო კრება და მის მიერ ამორჩეული სამრევლო საბჭო ეკლესიის კრებულის მონაწილეობით; 4) მრევლი იურიდიულ პიროვნების უფლებებით სარგებლობს; 5) საეკლესიო, სამრევლო და ეკლესიის მსახურთა სასარგებლო შემოსავალი მრევლის საერთო კასაში ინახება; 6) წირვა-ლოცვის და საიდუმლოებათა, შესრულება მეტრიკულ ცნობებისა და ქორწინების მოწმობის მიცემა უფასოდ უნდა სწარმოებდეს; 7) კრებული მრევლისაგან ღებულობს ჯამაგირსა და ბინას. ჯამაგირი ღვდელს-1200 მ. წელიწადში, მთავარს-800, და დიაკვანს 400 მანეთი მიეცემათ. 8) ხაზინა დახმარებას უწევს იმ მრევლს, რომელსაც შეძლება არა აქვს კრებულის შენახვისა.

ფეხით მოგზაური

(წერილი სიღნაღიდან)

ამ თვის თხუთმეტში, თელავიდან გამოიარა ფეხით მოგზაურმა **ლაკონმა,** რომელიც გუშინ 19-ს. დილით ლაგოდეხში წავიდა. ლაკონი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს, მათ შორის სპარსულადაც. ვკითხე მოგზაურობის მიზეზი, მიპასუხა: შემდეგ ყველა ხალხის შესახებ ისტორია უნდა დავწეროო.

ლაკონმა დაათვალიერა წმიდა ნინოს მონასტერი. სიღნაღის ძველი ციხე-სიმაგრე და სხვა. მოუვლია გული კახეთი ფეხით. ყოფილა აგრედვე ყვარელში და სხვა გაღმის სოფლებში. აქვს აბაშეთის ხელმწიფისაგან (ნეგუსისაგან) ბოძებული სოლომონის ორდენი.

ლაკონის ოთახში მაგიდაზე ვნახე საყვარელ მგოსნის აკაკის სურათი. რომელიც საჩხერეში ყოფნის დროს მიუციათ აკაკის მამულის მართველს, კ. აბდუშელიშვილის, რადგანაც აკაკი სახლში არა ყოფილა. მე გადავეცი ლაკონს ჩვენი მწერლების სურათები და ავუხსენ მათი ვინაობა. ლაკონმა ფრანგულად წაწერა სურათებს. გადავეცი სურათები: რუსთაველისა, მეფე ირაკლისა, მეფე გიორგისა, დ. ერისთავისა, ი. გოგებაშვილისა, ს. მესხისა, განდეგილის, ე. გაბაშვილისა, რ. ერისთავისა, სპარსელ ქართველების ონიკაშვილისა და ხუციშვილისა. ლაკონმა მითხრა, წაკითხული მაქვს შაჰაბასის შემოსევის ისტორიაო. ვკითხე: თქვენისა ზრით, რამდენი წელიწადი დაგჭირდებათ რომ დაასრულოთ განზრახული მოგზაურობა მეთქი? მიპასუხა: მე მგონია, რომ ოთხ წელიწადს კიდევ შოვუნდებიო.

ვ. ბუთლიაშვილი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ქუთაისში.

ოთხშაბათს, 14 დეკემბერს, დავესწარი შავ ქვის მრეწველთა კრების სხდომას, სადაც მზრუნველმა ბ. რუდოლფმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება სამრეწველო-სატეხნიკო სასწავლებლის გახსნის თაობაზე ქუთაისში. მომყავს მოკლეთ მოხსენების შინაარსი: „ჯერ მან მადლობა გამოუცხადა კრებას, საბჭოს და იმის თავმჯდომარეს ბ. ზდანოვიჩს რომ მრეწველთა საბჭო თანაგრძნობით ეკიდება სახალხო განათლების საქმეს და საჭირო თანხას გადასდებს ხოლმე ყოველ წლიურად. მრეწველთათვის საჭირო არის ისეთი სასწავლებელი, რომელიც ყოველგვარ სატეხნიკო სწავლას უნდა აძლევდეს მათ შვილებს, რათა შემდეგ ისინიც მათთან დარჩნენ, და მრეწველობის საქმეში დაეხმარნენ. ასეთი სასწავლებელი იქნება სატეხნიკო, რომელიც უნდა შედგეს ორი განყოფილებისაგან: სამთო-საქარხნოსა და სამეურნეოსაგან. ორივე განყოფილების შესანახად იკმარებს წლიურად 45,000 მანეთი; მოსამზადებელ კლასების შესანახად 6,000 მანეთი, დაბალ ტიპის ორკლასიან სახელოსნო სასწავლებლისთვის 4,240 მან. სასწავლებელთან უნდა იქნეს პანსიონი 80 მოწაფისათვის, რაც დაჯდება წელიწადში 24,000 მან. ამ გვარად ამ სასწავლებლის შენახვა დაჯდება სულ 80,000 მან. ხაზინა გამოიღებს წლიურად 45,000 მან. დანარჩენი 35,000 მან. კი საბჭოს დასჭირდება ყოველწლივ. საგრონომიო განყოფილებისათვის საჭირო იქნება 100 დესეტინა მიწა. შენობის აგება დაჯდება 300,000 მან. მისი მოწყობა 100,000 მან. პანსიონის გამართვა 50,000 მან. სულ კი 450,000 მან. სასწავლებელი იქნება რვა კლასიანი, გადასახადი წლიურად მოწაფეზე 60—80 მან.“

კრებამ სიამოვნებით მიიღო მზრუნველის წინადადება. საბჭოს თავმჯდომარემ გ. ზდანოვიჩმა და ქალაქის მოურავმა ილ. ჩიქოვანმა მადლობა გამოუცხადეს მზრუნველს ასეთის ყურადღებისათვის. ქალაქის თავი დაჰპირდა ქალაქის გამგეობის მხრივ გადადებულ სატეხნიკო განათლებისათვის 52,000 მანეთის შეწირვას, 30,000 მან. მიწას „საღორიის“ აგარაკის შესაძენად და წლიურად 1,000 მანეთის გამოღებას. 300,000 მანეთის გაცემას ხაზინიდან სესხად 15 წლის ვადით საბჭოს შეჰპირდა ბ-ნი მზრუნველი, დანარჩენი თანხა კი შესდგება ყოველ წლიურად ხაზინიდან 45,000 მანეთის მიცემით და 35,000 მანეთის საბჭოს მიერ გადადებით.

ამავე საღამოს მზრუნველის თანადასწრებით მოხდა საბჭოსა და ქალაქის საფინანსო და სამოსწავლო კომისიების შეერთებული სხდომა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზედაც გადასწყვიტეს ხსენებული საკითხი. ამის შემდეგ მზრუნველმა წინადადება მისცა კრებას საჩხერეში ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ფილიალური განყოფილების გახსნისა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა გ. ზდანოვიჩმა, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ჯაყელმა, კიტა აბაშიძემ, სვიმ. წერეთელმა, სოლ. წერეთელმა და ჯანიშვილმა, მიღებულ იქმნა შემდეგი ფორმულა: გაიხსნას ჭიათურის სამოქალაქო სასწავლების პარალელური კლასები, რისთვისაც გადაიდოს 2,000 მან., ხოლო ადგილის გამორჩევა, ე. ი. ჭიათურაში გაიხსნას თუ საჩხერეში, დაევალოს მრეწველთა და სამოქალაქო სასწავლებლის საპედაგოგო საბჭოებს.

დასასრულ კრებამ სთხოვა მზრუნველს სუბსიდია შუქრუთისა, რგანისა და მღვიმევის პირველ დაწყებით სკოლებისათვის; მზრუნველი დაჰპირდა თითოეულ სკოლისათვის 390 მან., რისთვისაც კრებამ მადლობა გამოუცხადა ტაშის ცემით.

ლადო ბზვანელი.

მცირე განმარტება

„სახალხო გაზეთი“-ს მე-414 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი „კიდევ კარტული დეფექტები“, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნული მქონდა; რომ ბ-ნ გოგებაშვილის „Русское Слово“ თუმცა მოფენილია დღეს ჩვენს სახალხო სკოლებში, მაგრამ იგი ერთ სკოლაშიაც არ ისწავლება იმ მეთოდით, როგორც ავტორს აქვს შედგენილი. უცხო სიტყვების ახსნა და ეგრედვე ლექსებისა და იგავ-არაკების დედააზრისა და შინაარსის გულმოკლმა სწარმოებს რუსულ ენის შემწეობით. ვინაიდან შესაძლოა ამ სიტყვებით მკითხველმა იფიქროს, განსაკუთრებით კი ბ-ნ გოგებაშვილზე ბრაზ მორეულმა კრიტიკოსებმა, ვითომ ბ-ნ გოგებაშვილის თარგმნითი მეთოდით სწავლება სრულიად მოსპობილი იყოს ჩვენს სკოლებში. ამისათვის საჭიროდ ვცნობ დავსძინო შემდეგი: ბ-ნ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს მეორე ნაწილს სამრევლო სკოლებში პირდაპირ თარგმნითი მეთოდით გადიან. სამინისტრო სკოლებშიაც ამავე მეთოდით ისწავლება, მხოლოდ, როდესაც მოწაფეებს უცხო სიტყვების ახსნა-განმარტებას, ლექსების და იგავ-არაკების შინაარსს და დედააზრს ქართულად შეასწავლიან, შემდეგ მასვე რუსულად გადიან, რადგან ამას სასკოლო მთავრობა თხოულობს და ზოგიერთი მასწავლებელიც ამის მომხრეა, ვითომ ენის გასავარჯიშებლად. ამნაირად, თარგმნითი მეთოდი არც მასწავლებლებისაგან და არც სასკოლო მთავრობისაგან უარყოფილი არ არის. განსხვავება იმაშია, რომ თარგმნითი სწავლების შემდეგ გავლილი მასალა სამინისტრო სოლებში რუსულადაც ისწავლება. ბ-ნ გოგებაშვილის მეთოდით და მის სახელმძღანელოთი სწავლება რომ სრულიად უარყოფილი არ არის თვით სასკოლო მთავრობისაგანაც კი ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს ერთს სკოლაში სასკოლო ინსპექტორისაგან სარევიზიო წიგნში ჩანაწერი (ამ სკოლას თუ საჭიროება მოითხოვს, დავასახელებ), რომელიც უსაყვედურებს მასწავლებელს ბ-ნ გოგებაშვილის „Русское Слово“-ს უარყოფას, მის მაგიერ სხვა ავტორის სახელმძღვანელოს შემოღებას (გრიგორიევის სახელმძღვანელო შემოღო) და შემდეგსა სწერს: „**Слѣдовало во всѣхъ младшихъ группахъ вести учебники Гогебашвили, какъ болѣе доступные для туземныхъ школъ**“ და სხვა. როგორც პატივცემული მკითხველი ხედავს მეტად ნაადრევი გამოდგა ბ-ნ „პედაგოგი“-ს სიხარული, რომელმაც „კოლხიდის“ მე-213 ნომერში აუწყა ქვეყნიერობას, რომ ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მეთოდით სწავლება ცხოვრებამ ისტორიას ჩააბარაო. სიზმარში თუ ცხადათ?!

რისხვა.

ხმა სამტრედიიდან

შაბათს, 10 დეკემბერს, რკინის გზის თეატრში წაიკითხა **ლექცია** „კოოპერაციის“ რედაქტორ-გამომცემელმა იასონ გაბილაიამ შემდეგ თემაზე: **„კოოპერაცია და მეურნეობის აყვავება დანიაში“**. აქვე მოგვყავს ლექციის შინაარსიც:

1) ჰავითა და მდებარეობით დანია ყურადღების მისაქცევიც არ არის. 2) მეურნეობის აყვავება დანიაში; 3) ეკონომიური და კულტურული აღორძინება დანიისა პირდაპირი შედეგია პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარებულ კოოპერაციის იდეისა. 4) სხვა და სხვა კოოპერატივები და მათი საზოგადო ეკონომიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. 5) მთავრობის როლი; 6) კოოპერაცია, როგორც საუკეთესო საშუალება ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლად; 7) ორიოდე სიტყვა ადგილობრივ კოოპერატივებზე; 8) დასკვნა: ყველამ, ვისაც კი ხალხისთვის გული შესტკივა, უნდა შეუწყოს ხელი კოოპერაციის გავრცელებას ჩვენში, რომ ჩვენი სამშობლოც აყვავდეს და აღორძინდეს ეკონომიურად და კულტურულად.

ლექციის შინაარსი მშვენივრად გადმოვვცა პატივცემულმა ლექტორმა. ლექცია დაიწყო დილის 9 საათზე და გათავდა ნაშუადღევის 1 საათზე, ყველა ნასიამოვნები დარჩა ამ ლექციით.

კარგი იქნება ბ-ნი გაბილაია ასეთ ლექციებს ხშირად წაიკითხავდეს ხოლმე.

ს. კულაშელი.

მუშათა შორის

(სადგ. სამტრედია)

მეტად ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა სამტრედიის სადგურის დამტვირთველ-გადმომტვირთველ მუშებს. სულ ოცდათამდე კაცია, აირჩევენ ხოლმე ერთ-ერთს თავისთაგანს უფროსად და თვალ-წარბში შესცქერიან. რა თქმა უნდა, კარგია მჭიდროდ შეკრული, ნდობით აღჭურვილი ამხაგობა, მაგრამ „ძმამ ძმას ანგარიში უყო ისევ ძმებად დარჩენო“. მთელი საქმის ანგარიში უნდა ეუწყოს ხოლმე მთელს ამხანაგობას.

ამ ნიადაგზე ხშირად მოსდით ერთმანეთში უთანხმოება და უფროსთანაც გარბიან ხოლმე სამართლის საძიებლად.

ამის გარდა ეს მუშები მთელ თავისუფალ დროს ბანქოსა და „კამათლების“ თამაშში ატარებენ. სხვა რაიმე გონივრული გართობა მათთვის არა არსებობს.

მათზე უკეთეს პირობებში არ არიან რკინის გზის დეპოს მუშებიც: ბანქო, ნარდი, სპიკიტნო და ქეიფი— ეს არის მათი ყოველ-დღიური ცხოვრება. თუმცა მათ აქვთ ბიბლიოთეკა, რომლითაც უფასოდ შეუძლიანთ ისარგებლონ, მაგრამ იქ წამლად არავინ გაიჯაჭანებს. სამწუხაროა ასეთი გაქსუება და გონებრივ განვითარების უქონლობა. ნუთუ თავს ვერ დააღწევენ უაზრო ქეიფსა და სიმწრის ოფლით მონაგარ გროშების ფლანგვას?

ს. კულაშელი.

მოზერილი ამბები

ბეჟათ-უბანი (შორაპნის მაზრა). როგორც მკითხველებმა გაზეთებიდან უწყიან სადგურ მოლითში გაიხსნა საფოსტო განყოფილება. მაგრამ დიდი ხანი არ გაივლის, რომ არ დაიხუროს, ვინაიდან შესავალი ვერ დაჰფარავს ხარჯებს. მიზეზები შემდეგია: 1) უმეტესმა პირმა არც კი იცის ფოსტა სწარმოებს თუ არა. ბევრი პირი მოლითის ზოგიერთ ვაჭრებისგან ყიდულობენ ფოსტის მარკებს კაპეიკის მომატებით, 2) ვინც კი იცის, რომ ფოსტა სწარმოებს, იმან დრო და ჟამი არ იცის, რა დროიდან იწყება და რა დრომდის გრძელდება ფოსტის წარმოების დრო. 3) ფოსტის საწარმოვო ოთახი მიუდგომელ ადგილას არის და სამთლით საძებარია და 4) ბარათებზე წარწერა თუ დაიწუნა ფოსტის მოხელემ, სად წავიდეს საწყალი სოფლელი. იქ არავინ არის შემსწორებელი.

პირველ ორ მიზეზს კარგი იქნება ვისაც ჯერ არს გამოუცხადოს ადგილობრივ საზოგადოებას, ხოლო ძესამე და მეოთხე მიზეზნი ბ. სადგურის უფროსმა რომ მოაწესრიგოს დიდ სამსახურს გაუწევს როგორც საზოგადოებას ისე ფოსტის საქმეს.

აქეთ თუმცა შარშანდელი ყინვები არ არის, მაგრამ ბევრით არ ჩამოუვარდება. წისქვილები ლამის გაუქმდეს. თუ ასე გასტანა, შიმშილობა ჩამოვარდება.

დიდი ლოდინის შემდეგ როგორც იყო მთავრობამ დანიშნა მესამე მასწავლებელი მოლითის ორ-კლასიან სამინისტრო სკოლაში და კიდეც მოვიდა ქ. კ. ახვლედიანი (ლეჩხუმელი). მეორე მასწავლებელი ბ. ბუაჩიძე, რომელიც სცხოვრობდა სკოლის შენობაში ძალა-უნებურად გადაიყვანეს კერძო ბინაზე.

ქართველ-იმერელი.

არეულობა სპარსეთში

დეკეშები.

26 დეკემბერი.

თავრიზი. მუსლა სიკეტულ-ისლამის საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ იგი და დასჯილი ჰაჯი ალი დავაკურუში ყოფილან თავრიზის ფიდაების მთავარი ხელმძღვანელები და რუსების წინააღმდეგ ამხედრებულნი. რუსეთის მთავარი ელჩი ჯერ კიდევ 13 დეკემბერს აფრთხილებდა სიკეტულ-ისლამს, შენს სახლში ფიდაების კრებებს ნუ ახდენო, მაგრამ მუსლამ გაფთხილებას ყური არ ათხოვა. მუსლა არ დაჰკორჩილებულა აგრედვე თეირანიდან დეპეშით გადაცემულ ბრძანებას, რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება შეწყვიტეთო.

რუსეთის მთავარმა საელჩომ ზომები მიიღო თავრიზში მცხოვრებ ეხლანდელ გარეშე-საქმეთა ძინისტრის მამისა და ენჯუძენების წარმომადგენელთა—ადლიესა და ბელედიეს დასაფარავად. ცილის წაძღვაა რუსის ჯარისადმი მიმართული ბრალდება, ვითომც სიკეტულ-ისლამი აშურის დღეს დაესაჯოთ. აშურა შუადღისას თავდება, ხოლო მუსლა კი საღამოს ხუთ საათზე დასაჯესო. სულ 25 კაცი დახვრიტეს, ხოლო 26 აპატიესო.

სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენთ ჩამოახვრჩეს ფიდაების სამხედრო ორგანიზაციის მეთაური ჰაჯი ალი დავაფურუში, ფიდაების წინამძღოლი, სათარხანის ძმისწული, მაჰომედ ალი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მეხუთე პოლკს, კერიმხანი და უკიდურეს რევოლუციონურ გაზეთ „შურახის“ რედაქტორის თანაშემწე. ექვსი გაამართლეს. დავჰფურუშის სახლი ააფეთქეს. ქალაქში დუქნები გააღეს; ქუჩებში მშვიდობიანობაა.

ურმია. მეჩეთის კედლებზე პროკლამაციები გააკრეს, რომელთაც მცხოვრებლებს რუსების წინააღმდეგ ამხედრებენ. პროკლამაციამ გავლენა ვერ იქონია; მათ შედგენას კერძო პირებს აწერენ.

სალმასიდან იუწყებიან, კოხნა შეხარას მცხოვრებლებმა ხოიოში მყოფ რუსეთის ელჩს თხოვნით მიმართეს ქურთებისაგან დაგვიფარეო. ქურთები ამას წინდ თავს დაესხნენ კოხნა-შეხარს, მრავალი მოჰკლეს და დასჯრეს.

თავრიზი. ბრბომ ენჯუმენის სახლი დაანგრია.

გაზეთებიდან.

სამხედრო სასამართლო.

გაზეთების თანამშრომელებისთვის გარეშე საქმეთა სამინიტროში უთქვამთ, ამ დღეებში სამხედრო-საველე სასამართლო რეშტშიაც დაიწყებს მოქმედებასაო. დამსჯელი რაზმი, როგორც ამბობენ, სულ ორი თვის განმავლობაში იმოქმედებს.

რეგენტის დასვენება.

რუსეთის ელჩმა პოკლევსკ-კოზელმა აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რეგენტი ნასირულმულკი დასასვენებლად მიდისო. შუსტერ-მორგანის მოადგილის დანიშვნის საკითხს რეგენტის დაბრუნებისას გადასწყვეტენ.

— „ფრანკფურტ ცაიტ“ სტამბოლიდან ატყობინებენ, რუსეთმა ჯარის გაგზავნა იმიტომ შეაჩერა, რომ პეტერბურგში მყოფ პორტას წარმომადგენელი რუსეთის მთავრობას მოელაპარაკაო.

ხაზინის მართველობა.

თანახმად რუსეთის მთავრობის სურვილისა, სპარსეთის მთავრობას აზრადა აქვს ხაზინის მართველობა მორნარისა და სამ სპარსელისაგან შემდგარ კომისიას მიანდოს. მორნარს თანხმობა განუცხადებია. ერთი სპარსელი უარზეა. 13 ამერიკელს, რომელნიც სპარსეთში მსახურობენ, უთქვამთ, სამსახურს თავს დავანებებთ, თუ მორნარი ხაზინის მართველად დაინიშნაო. მორნარი ჩაუდგება ხაზინას სათავეში. სახელმწიფო კასა დაცარიელებული არის.

რეაქცია არ სცხრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაზეთის თანამშრომლებისათვის უთქვამთ, სპარსეთში რეაქციონური მოძრაობა კვლავად სწარმოებს. რეაქციის უმთავრეს ბუდედ თურქმენთა ველიაო.

ინგლისი და სპარსეთი.

იუწყებიან, ინგლისს აზრადა აქვს სამხრეთ სპარსეთში ზოგიერთი ადგილები დაიპყროს. სპარსეთის ყურეში ოთხი სამხედრო გემი იგზავნება.

ჩინეთის რევოლუცია

დეკეშები.

ტოკიო „იამატო“ სწერს: იაპონიის პრინციპი ძველებურად ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგია. თუმცა ინტერესი მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფონი შეერთებულად მოქმედებდნენო.

ჩინეთის საქმის გართულება იაპონიის პრესაში მითქმა-მოთქმას იწვევს. გაზეთები მთავრობას უსაყვედურებენ, გარკვეულ გეგმით ვერა ჰმოქმედობთ ჩინეთის მიმართო.

შანჰაი. ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტეს. ცნობები აღარ არის. ხმებია, ბრძოლა დაიწყოო. თვით შანჰაიში სიწყნარეა.

გაზეთებიდან.

90 მილ. მანეთის სესხად ადება.

შანჰაიდან ბრიუსელს ამბავი მისულა, სუნიატსენი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს 90 მილიონ მანეთს სესხადა სთხოვსო.

— ხანკოუზე 4 ათასმა რევოლუციონერმა იერიში მიიტანა. სამი ნაღმოსანი ხანიანს ესვრის.

საფრანგეთის აზრი

შუაგულ რესპუბლიკის პრეზიდენტად სუნიატსენის არჩევის თაობაზე გაზეთები გაცხარებით მსჯელობენ. ყველა ლაპარაკობს, მანჯურთა დინასტიის საქმე წასულიაო. პრესას იმედი აქვს, რომ ევროპა სუნიატსენს დაეხმარება და რესპუბლიკის განმტკიცებაში ხელს შეუწყობსო. გაზეთი „მატენი“ ამბობს, საფრანგეთი სუნიატსენს სიამოვნებით აღიარებს პრეზიდენტად, თუ მან მოახერხა და მანჯურთა დინასტია საბოლოოდ დაამარცხაო.

გერმანიის აზრი.

გერმანია წინააღმდეგია თურმე ჩინეთში რესპუბლიკის დაარსებისა, რადგანაც კარგად იცის, თუ ჩინეთი რესპუბლიკად გადაიქცა, აღმოსავლეთის ბაზარი გერმანიას ხელიდან გამოეცლება.

ამის გამო ძალიან აღშფოთებულია რესპუბლიკელთა პრესა და შანდურში თურმე გერმანელთა საქონლის ბოიკოტიც კი უქადაგნია.

მონგოლეთის მდგომარეობა.

უკანასკნელის ცნობებით მონგოლეთის მთავართა შორის დიდი უთანხმოებაა. ჩრდილოეთ მონგოლეთი უფრო ჩინეთის რესპუბლიკას ემხრობა, სამხრეთ მონგოლეთის კი მთლად განცალკევება ჰსურს, თუ დაიკინთა დინასტია ტახტიდან იქმნა ჩამოგდებულიო.

იაპონა რესპუბლიკანელთ დახმარებას ჰპირდება.

პეკინიდან გაზეთ „ვეჩერნიე ვრემიას“ ატყობინებენ, ჩინეთის რესპუბლიკანურ პარტიას იაპონიის მთავრობამ დახმარება აღუთქვა. სამაგიეროდ სამხრეთ მანჯურიის დათმობას ითხოვს.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეკეშები.

რომი. ომში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ გამართულ ხელმოწერით 2.918000 ლირა შემოვიდა. *)

გაზეთებიდან

სახელმწიფოთა შუამდგომლობა ზავის ჩამოგდების შესახებ.

გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფოებმა განაახლეს თავისი წინადადება სამშვიდობო მოლაპარაკების შუამდგომლობაზე. მოკლე ხანში იტალია და ოსმალეთი ზავს ჩამოაგდებენო.

ოსმალთა გალაშქრება.

მალტიდან იუწყებიან, ოსმალნი ტრიპოლისა და კირენაიკზე ერთ და იმავე დროს გალაშქრებას აპირებენო.

საუბარი დიპლომატთან.

გარეშე საქმეთა პალატის კარგად მცოდნე დიპლომატს განუცხადებია, ტყუილია, ვითომც იტალიასა და ოსმალეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო და ვითომც ოსმალეთი მზად იყოს ტრიპოლის ანექსია აღიაროსო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

26 დეკემბერი.

პარიზი. დაიწყო არჩევნები. სენატში უნდა ამოირჩიონ ასი კაცი. ამორჩეულთა შორის პალატის პრეზიდენტად ნამყოფი დიუმერი და ჟან მარალი არიან. გააშავეს ნამინისტრალი ბელტანი.

*) ლირა ჩვენს 37 კაპეიკს უდრის.

მინისტრმა პრეზიდენტმა ბინკეტზე სთქვა: მთავრობა პალატას წინადადებას მისცემს, რათა მან აწარმოვოს ნაციონალური პოლიტიკა სახელმწიფო ტერიტორიის დაცვისა და უზრუნველყოფისათვის. მორჩენილ ფულს მოახმარებს ნავთსადურებსა, გემით მიმოსვლისა და რკინის გზათა საქმეს.

ქაირი. ხედივი სოლუმში გაემგზავრა, რათა პირადის დასწრებით დაადასტუროს, რომ სოლუმი ეგვიპტეს ეკუთვნისო.

ნიუიორკი. დიდი სიცივეებია. 4 კაცი გაჰყინა.

სტამბოლი. ლუდ-ხანაში სადგურის ახლოს რამდენიმე ოფიცერს გაცხარებული საუბარი ჰქონდა პოლიტიკურ საკითხების შესახებ. ოფიცრები კამათის დროს აღელდნენ და რამდენჯერმე დასცალეს რევოლვერი. ორი ოფიცერი დაჰპატიმრეს,

რუსეთი.

როსტოვი ბოროტმომქმედმა შეპყრობის დროს პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. სროლის დროს მსუბუქად დაიჭრა პოლიციელი ბოროტმომქმედი კი მძიმედ.

მიწის-ძვრა.

შემახა. დილის ათ საათზე მიწა შესამჩნევლად იძრა.

პეტერბურგი. საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ სთათბიროს რედაქციით მიიღო ფინლიანდიაში რუსების ადგილობრივ გამათანასწორებელი კანონ-პროექტი.

პოლიტიკანობა, თუ პედაგოგობა?

(უკანასკნელი პასუხი „კოლხიდის“ პედაგოგს).

„კოლხიდის“ პედაგოგს კიდევ გამოუცხვია, ეს მესამედ, ჩემს წინააღმდეგ ვეებერთელა ფელეტონი, რომელშიაც იგი იმეორებს წინანდელს თავისს აზრებს, ჩემს მიერ უკვე გამტყუნებულს მეორე ჩემი სტატიით: „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა“. მაგრამ თვითონაც კი ამტყუნებს თავისს თავსა ამ მესამე იერიშში. მოისმინეთ: მეორე თავისს წერილში ის ამბობდა: „გოგებაშვილი ურჩევს თარგმანს და იმაზე ამყარებს თავისს მეთოდსა; ვინ არ იცის, რომ თარგმანი ძალიან ცუდი მასწავლებელია; ამიტომ ამ ბოლო დროს ახალის ენების შესწავლის საქმეში **თარგმანი უარყოფილია**! თავისს მესამე სტატიაში კი სცდილობს დაჯეროს მკითხველი, რომ ჩემი „**რუსკოე სლოვო**“ თითქმის მუნჯურ მეთოდზეა აშენებული და ბევრით არაფრით განირჩევა ჩემ მიერ ნაქებ ქრისტომატიიდანაო. საკმარისია მკითხველმა ცალი თვალით მაინც ჩაიხედოს ჩემს რუსულს სახელმძღვანელობში, რათა დარწმუნდეს, რა სიცრუის ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული „კოლხიდის“ პედაგოგი. როცა ტფილისის ეპარქიის მეთვალყურემ ბ-ნმა ოდოევმა გამოილაშქრა ჩემს „**რუსკოე სლოვოს**“ წინააღმდეგ, მან, სხვათა შორის, სთქვა: თუმცა მეთოდიკაში ავტორი თანასწორ მონაწილეობას აძლევს დედა-ენას და თვალსაჩინო ღონისძიებას; მაგრამ ნამდვილად თვით სახელმძღვანელოში პირველის მონაწილეობა დიდად (подавляющее) სჭარბობს მეორისას.

ბ-ნი პედაგოგი წინად ამბობდა: თუმცა ჩვენი ქრისტომატია შედგენილია კავკასიურის მოსამზადებელ კლასებისათვის, მაგრამ უნდა იხმარებოდეს ქართულს სახალხო სკოლებშიც **მესამე წლიდანაო**. ახლა კი ცოტაოდენი წყალობა მიიღო და გადაუნაცვლა მესამე წლის ნახევრამდინ. რა საბუთით? თუ პირველი ნახევარი „რუსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილისა სავსეაო ქართული შინაარსით, სამაგიეროდ მეორე ნახევარი შესდგება თითქმის იმავე რუსულ მასალისაგან, როგორიც არის მოქცეული ჩვენს ქრისტომატაშიო. მაშასადამე, არაფერი დაშავდებაო, თუ ამ რუსულს მასალას შეისწავლიან ქრისტომატიით და არა **რუსკოე სლოვოთიო**. არა დაინტერესებული და მიუდგომელი კაცმოსანი სრულიად წინააღმდეგს იტყოდა: რაკი ნასყიდ სახელმძღვანელოში იგივე შინაარსია, როგორიც სასყიდელში, უგუნურება და ბედოვლათობა იქმნება ეს უკანასკნელი ბავშვებს აყიდინოთ იქნობამდინ, ვიდრე პირველს გაათავებდნენო. მართლა და „კოლხიდის“ პედაგოგის აზრი რომ განხორციელდეს, ერთიორად გაუძვირებს რუსულის ენის შესწავლას ჩვენს გაძვალ-ტყავებულს ხალხსა. ქართული სოფელი ამ ჟამად ჰხარჯავს რუსულს ენაზე მთელის კურსის განმავლობაში სულ ოთხ-აბაზ უზალთუნსა (პირველი ნაწილი „**რუსკოე სლოვოსი**“ ღირს ორ აბაზად ყდით, მეორე ნაწილი ათ შაურად აგრეთვე ყდით), პედაგოგის პროექტი რომ იქმნას მიღებული, ამ ფულს მიემატება ოთხი აბაზი მუნჯური ქრისტომატიის ფასი—და **ხარჯი** აიწევს რვა აბაზამდინ.

განა შეამად არ უნდა ამოგვივიდეს ესეთი გაძვირება სწავლისა გაღატაკებულის ხალხისათვის? ჩვენ რომ სახელმძღვანელოს ზედ-მეტი გასაღება გვწყუროდეს პირადი ინტერესისათვის, საწყალი ხალხისა რა ბრალია?

უგრძელესი ფელეტონი, სამს ნომერში გაჭიანურებული, სავსეა ამისთანა ყოვლად შეუწყნარებელ აზრებით, და მათი ხელ-ახლად განხილვით არც მე დავკარგავ დროს და არც მკითხველს შევაწუხებ. ბ-ნი პედაგოგის სიბრძნე და ღვაწლი ღირსეულად დააფასეს იმათ, ვინც პირადად აწარმოებენ ხალხის განათლებას და უჩინრად ემსახურებიან მეტად დიდს საქმეს ქვეყნისასა, და კიდევ დააფასებენ, იმედია. მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია ჯეროვანი ყურადღება მივაქციო ერთს ინსინუაციას და მისი სიყალბე და სიცრუე დღესავით ცხად ვჰყო მკითხველთათვის.

წარმოიდგინეთ, ერთგული მოწაფე ლევიცკისა და ვოსტორგოვისა და მათი აზრების მქადაგებელი მე მწამებს ისეთ რამეებს, რომელიც, მისი აზრით, არიან ფრიად საამონი ბიუროკრატისათვის. თუ ამ დაწამებაში ოიტის ოდენა სიმართლე მოიპოვებ, როგორ მოხდა, რომ ჩემის სახელმძღვანელოების დაცვაში ბიუროკრატთა დევნისაგან ბევრად მეტი დრო და შრომა მომინდომებია, ვიდრე მათს შედგენაში!..

ახლა ვიკითხოთ, რაში ხედავს ჩემს მაამებლობას, პოლიტიკანების მეგობარ ჰმზრუნველის ინოვსკის დამუქრებიაო, უსამართლობაზე მიჩივლებ თვით რუსეთის იმპერატორთანაო, საქართველოს მეფესთანაო; რუსკოე სლოვოში ქებით იხსენიებს საუკეთესო მწერლებს რუსეთისასაო და მათი სურათებიც ჩართული აქვსო; ერთს სბავშო რუსულს ლექსში, (школьникъ), რომელიც ლომონოსოვის მოკლე ბიოგრაფიას მოსდევს და მასზედ არის გამოთქმული, ასე ამოსკვნავს სკოლნიკი ლომონოსოვი: ახ, როგორ მიყვარხარ რუსეთო? ვოსტორგოვის მიმდევარის სიტყვებიდან გამოდის, რომ ლომონოსოვისათვის უნდა მეთქმევინებინა: ახ, როგორ მიყვარხარ, საქართველო, და რადგანაც ეს არ ვათქმევინე, დიდი ღალატი ჩამიდენია.

უყურეთ, რა არხი—პატრიოტი ბრძანებულა მუნჯური მეთოდის თაყვანის-მცემელი?

ამ სასაცილო რამეებს მოსდევს ფრიად სამარცხვინო რამ „კოლხიდის“ პედაგოგისათვის.

თავისს მესამე სტატიაში მოკამათე გამოსთქვამს ჩვენის „რუსული მეთოდიკის“ შესახებ იმავე აზრს, რომელსაც ვოსტორგოვი გაიძახოდა,— გამოსთქვამს იმავე ტერმინით და სიტყვით, რომელსაც ხსენებული ქართველთა „მეგობარი“ ხმარობდა. რა ტერმინია ესა? პოლიტიკანობა. ამ პოლიტიკანობას მაბრალებდა ვოსტორგოვი, მაბრალებს „კოლხიდის“ პედაგოგიცა, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვოსტორგოვი მარცხენა პოლიტიკანობას მაბრალებდა, „კოლხიდის“ პედაგოგი მარჯვენასა. ახლავე მკითხველი დარწმუნდება, რომ ერთიც სტყუოდა და მეორეც სტყუის.

რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკანობა? ვოსტორგოვი ამბობდა და მეუბნებოდა: თქვენ არა კმაყოფილდებით იმითი რომ ქართულს სახელმძღვანელოებში ხშირად უქადაგებთ საქართველოს სიყვარულს, ქართულს პატრიოტიზმს, როგორც მე ამაში დამარწმუნეს თქვენმავე ქართველებმა. იგივე ქადაგება გაისმის თქვენს რუსულს სახელმძღვანელოში „რუსკოე სლოვოში“ და მეტადრე „მეთოდიკის“ უკანასკნელს თავში. აქაც თქვენ თხოულობთო მასწავლებლისაგან, რომ მათ უპირველესად ყოვლისა შეაგონონ ბავშვებს სიყვარული საქართველოსი, სიყვარული ქართულის ენისა, ქართულის ლიტერატურისა, ქართულის მწერლებისა. მართალია, იმასვე თხოულობ რუსეთის და მისი ენისა და ლიტერატურის შესახებაც, მაგრამ თქვენ ეს მეორე საფეხურზე გყავთ დაყენებული და იჩრდილება პირველი საფეხურით. გარდა ამისა თქვენ „რუსკოე სლოვოშიაც“ და „მეთოდიკაშიაც“ იხსენიებთ რუსეთის იმ-

პერატორს, როგორც მეფეს საქართველოსას. ჩვენის იმპერატორის ტიტულში კი საქართველოს ხსენება. არ არის, იქ ნახსენებია რაღაც ივერიის მიწები (Какія это Иверскія земли); თქვენს სიტყვებში გამოსთქმის იდუმალი ავტონომიური იდეა, ჩვეულური ნაციონალიზმი. მე პასუხად ვეუბნებოდი: თვითონ რუსეთის პატრიოტმა ფადდეევმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ქართველს რუსეთი მხოლოდ იქნობამდინ უნდა ენდოს, ვიდრე იგი ქართველიაო. სახელოვანმა მწერალმა საფრანგეთისამ ტისანდიემ სთქვა მეთქი: ადამიანი, გამსჭვალული თავისი ქვეყნის სიყვარულით, იმსჭვალება ამავე სიყვარულით სახელმწიფოსადმი, რომელსაც ის ეკუთვნის მეთქი.

ერთხელ თამამშეესის ქარვასლის ახლო ერთმანეთს შევხვდით ვოსტორგოვი და მე, და სწორედ ამ თემაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო, ორივენი გავცეცხლდით, ხმა მაღლა ველაპარაკებოდით ერთმანეთსა და ხელებს ვაქნევდით. ამ დროს ჩვენს ახლო ჩაიარა ბ-ნმა გიორგი ლასხიშვილმა, და მეორე დღეს, ნახვის დროს, მითხრა: გუშინ ისეთი ცხარე შეტაკება გქონდათ შენ და ვოსტორგოვსა, რო! მუშტი-კრივის სეირს მოველოდიო. და მკითხა, რაზედ გქონდათ დავაო? მეც ვუთხარი.

შეგნებული და კეთილ-სვინიდისიერი მკითხველი, თუ კარგად ჩაიკვირდება ამ საკითხს, ღრმად დარწმუნდება, რომ იქ, სადაც ხედავდნეხ პოლიტიკანობას ერთი მხრივ ვოსტორგოვი და მეორე მხრივ „კოლხიდის“ გმირი, იქ გამოსჭვივის წმინდა, გაბედული პედაგოგიურ-პოლიტიკური (და არა პოლიტიკანური) აზრი, მტკიცედ დაკავშირებული მამულიშვილობასთან.

იაკობ გოგებაშვილი.

(შემდეგი იქნება)

თეატრი და ხელოვნება

„იულიოს კეისარი“ ქართულ სცენაზე. ქართ. დრამ. საზოგ. დასი ხუთშაბათს, 29 დეკემბერს **ვალერიან გუნიას საბენეფისოდ** სდგამს ვილიამ შექსპირის განთქმულ პიესას **„იულიოს კეისარს“**, რომელიც გადმოთარგმნილია თავ. ივანე მაჩაბლის მიერ.

წარსულ ხუთშაბათს ქართულ დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა უცნობი „Madame X“.—მოკლედ შინაარსი ამ მელოდრამისა ამ გვარი გახლავთ: **ფლერიოს** (გუნია) ძეულლე **ჟაკილინა** (ქ-ნი დავითაშვილი) ადრინანვე ჰლალატობდა, რის გამოც ფლერიომ დაითხოვა იგი. ოთხი წლის შემდეგ ჟაკილინა შეიტყობს, რომ მისი პირმშო **რაიმონი**(გვარაძე)ავადმყოფობს. დედობრივ გრძნობა გონს მოიყვანს და შენანებული უბრუნდება ფლერიოს. მაგრამ ფლერიო, მიუხედავად შენანებულის ცრემლებისა, გაადგებს უკან. ამ დღიდან ჟაკილინასთვის იწყება ახალა ცხოვრების ხანა, ხანა თავ-აშვებული ყოფა-ქცევის, იგი გადიკარგება უცხო ქვეყნებში და ხანვის მისდევს ხასად და ხანვის. ოცი წლის თავ-აწყვეტილი ცხოვრება თავის დღს დაასვამს ჟაკილინას: სილამაზე გაცვდა, ჩამოკანა, საბოლოოდ ავადმყოფი გახდა და საბოლოოდ თმა გაჭაღარავებულ-შეკვეცილი იგი საყვარლად ძისდევს **ლაროკს** (მგალობლიშვილი), რომელიც ქალაქიდან ქალაქში დაათრევს. ჟაკილინა ჰფიქრობს სასმელებში თავის დავიწყებას, მაგრამ ამაოდ. ამგვარ გაბრუებულ მდგომარეობის დროს მას წამოსცდება ლაპარაკის დროს თავის საიდუმლოება, რომ იგი წარჩინებულ კაცის ცოლია და მზითვად 120 ათასი ფრანკი ჰქონდა, რომელიც ისევ ქმართან არის და სხვა. ამ ამბავს ლაროკი უამბობს თავის მეგობრებს **პერისა რხას** (კ. მესხს) და **მერიველს** (ბერიძე), რომელნიც მხოლოდ თვალთმაქცობაში და მძარცველობაში ატარებენ მთელს თავიანთ სიცოცხლეს. ამ ამბავს სიხარულით ეგებებიან, რომ მაგისი ქმარი ეხლა სასამართლოში მსაჯულთა თავმჯდომარე იქნება და კარგი დავლა დაგვრჩება, თუ გავამჟღავნებთ ჟაკილინას ამბავსაო. ჟაკილინას უკანასკნელად ჩაიცვდება ლაროკი, დაუსახელოს ქმარის გვარი. ჟაკილინა ეხლა მიხვდა თავის შეცდომას, რომ საიდუმლოება გაუმჟღავნებია ამ არამზადისთვის, გაითვალისწინა, რომ რაიმონდი, მისი ამედის სხვი, მას დაინახავს ამ ყოფაში და სიცოცხლის დღეს მოუწამლავს და აი, თავის შეცდომის დასამალად, იგი უკანასკნელ ღონისძიებას მიმართავს და ლორს მოჰკლავს. ჟაკილინას დააპატიმრებენ და მერე ასამართლებენ.

ამავე დროს კი რაიმონდი ახლად იწყებს იურისტის კარიერით გამოსვლას—ფლერიო, მისი მეგობარი ნოელი (იშხნელი) და მისი სასძლო ერთს ამბავში არიან, რომ ხვალ ვინმე უცნობ დამნაშავე ქალის მოსარჩლედ უნდა გამოვიდეს.

საშინელი დრამა ხდება სასამართლოში. ყოველად დამცინავმა ბედმა ერთად შეახვედრა ფლერიო, ჟაკილინა, და თვის უცნობის დედას ვექილად მისივე შვილი რაიმონდი! ჟაკილინა სდუმს. ჩვენებაზე უარს ამბობს. იგი დამნაშავეა ბრალდებულის სიტყვით. მაგრამ აი, რაიმონდი ადგება და გატაცებული სიტყვაში პსიხოლოგიურ ანალიზს ახდენს, ნათლად დაანახა, რომ ჟაკილინას დუმილი უბრალოდ არ არის გამოწვეული, რომ ბრალი ბევრს სხვა დამნაშავეს უდევსო. ჟაკილინამ იცნო ფლერიო, შემდეგ თვით რაიმონდიც და ჯოჯოხეთის ალმური იცვავს: ერთმხრით შურის ძიება ტ მეორეთი—შვილის სიყვარულისთვის მსხვერპლად გაწირვა—აი, აპოთეოზი ტანჯული სულის მდგომარეობისა. საბოლოოდ ჟაკილინა ხმას აღიმაღლებს. სასამართლო ჟაკილინას გაამართლებს. დედა და შვილი ერთმანეთს იცნობენ, ჩაეკვრებიან გულში. ძლიერ მღელვარებას ვერ იტანს ჟაკილინას დასუსტებული და ნატანჯი ორგანიზმი, ღონე-მიხდილი რაიმონდის უკანასკნელ გახსენებაში მოწყვეტილი სავარძელშივე ჩაეშვება.

ჩვენის აზრით მთელს სეზონის განმავლობაში ბევრი არ დადგმულა ისეთი პიესა, რომელიც საზოგადოებას დააკმაყოფილებს, როგორც შეხაარსით, ისე შესრულებით. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა ცენტრალური ფიგურა ჟაკილინა **(ლაკი ობეილი)**, რომელმაც თავისი თამაშით ძალა-უნებურად ტონი მისცა ყველა მსახიობთ, მისი ბუნებრივი თავის დაჭერა, განსაკუთრებით საბრალმდებელო სკამზე ჯდომა და უკანასკნელი სცენა რაიმონდთან განდობის დროს—ყოველისფერს აღემატებოდა. უყურებდით მას, არა როგორც ხელოვანს, არამედ თითქოს მართლა ცხოვრება განწირულ შვილს, სახის ცვალება, ნამდვილი ცრემლები, ყოველგან ზომა და ბუნებრიობა—აი ყველა ის მიზეზები, რის გამოც მასთან ერთად მთელი დამსწე საზოგადოებაც ქვითინებდა.

ვერ ვიტყვით ნაკლებს **გუნიაზეც**. იგი ჭეშმარიტი ფლერიო იყო. მისი უხმო მდგომარეობა, სულიერი ტრაღიზმი, როდესაც პირის-პირ შეხვდა ჟაკილინას, აშკარად გაჩვენებდათ, რომ იგი დატანჯული მეუღლეა, დიახაც, რომ ამ შემთხვევაში სულიერ განცდის დასახატად არა კმარა სიტყვა, ეს ალმუნის გამგრილებელი მალამო, რომ ამ დროს მიმიკა ყველაფერს აღემატება და გუნიაც, შეგვიძლიან თამამად ვთქვათ, რომ უმეტნაკლებო ფლერიო იყო.

არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციო აგრეთვე ახალგაზდა მსახიობ **გვარაძეს**, რომელმაც საოცარი სისწორით გადმოგვცა რაიმონდის სახეთაით ურწმუნო სკეპტიკიც კი, თუ რომ ამ დღის წარმოდგენას დაესწრო, ამგვარად დარწმუნდებოდა მისი ნიჭის უტყუარ საბუთებში, რომ იგი მომავალში უფრო გათვითცნობიერდება და ჩვენი სცენის ერთი საუკეთესო მსახიობთაგანი იქნება.

არ შეგვიძლიან ზოგიერთი დეფექტებიც არ აღვნიშნოთ, რომელთაც დისონანსი შეჰქონდათ ამ წარმოდგენაში: თვით რეჟისურაც ვერ იყო კარგი. 2) სასამართლოს დარბაზის დეკორატისა არა თუ სამზღარ-გარეთისა, ჩვენი უბრალო პროვინციის სასამართლოს ოთახსაც არ წარმოადგენდა. აღარას ვიტყვით ჩაცმულობაზე, თუნდ თავმჯდომარის გრიმსა და ტანისამოსზე, რის გამოც იგი უფრო ჯალათსა ჰგავდა, ვიდრე, სასამართლოს თავმჯდომარეს...

1) ამას ვამბობ ნოელზე (არადელი), რომელსაც ერთ დროს ჟაკილინა გაგიჟებით უყვარდა და კინაღამ თავიც მოიკლა. აი ეს ნოელი სცენაზე თავს ისე იჭერდა, თითქოს ჟაკილინას, მის გულის დამტყვევებელს კი არა, არამედ ვიღაცა ბოშ დედაკაცს ასამართლებდნენ. მაგრამ რა უშავს ამ ინდიფერენტიზმს, რომ მისი უადგილო ღიმილიც წამდაუწუმ არ დაგვენახა, და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც დარბაზში ყველა იდუმალად ჟაკილინასთან ერთად ქვითინებდა?.

3) კარგი იქნება პიესას ხელ-ახლად გაიმეორებდნენ. წარმოდგენას საკმაო ხალხი დაესწო.

დ. კ—ძე.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში 29 დეკემბერს გაიმართება **ოსური წარმოდგენა.** სდგამენ „ხაზ-ბი“-ს.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10--11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მლინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11--12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,
გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5--6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. ავეტისიანცი: 6--7 საათ.

11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. 1168.207)

მუხრანის კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9 и 48. Циціяновская подъемъ, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10--11 ს.-მდე.
გ. მ. გოგობერიძე. შინაგან დ ბავშვებისა, 11--12 ს.-დე.
მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.
მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.
ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშ., 12 ნახ. 1 ს.-დე.
იაშვილი. შინაგან, 1--2 ს.-დე.
გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12--1 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11--12 ს.-მდე.
გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.
მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.
კევში. კბილისა, 8--10 ს.-დე.
მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) **„606“-ით.** დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3--5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100--56 (0--1003--196)

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატექნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატექნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს ადნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.51)

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.2)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.

(00—1615—3).

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება 20 დეკემბრიდან—სასაზ

ბაზარს

ბუნებრივ თაფლის გასაყიდად **კავკასიის სამეურნ. საზოგადოების სადგომში.** ბარიათინსკის ქ., ალექსანდრეს ბაღი. (5.1645.3)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოვიანისა

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24 4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pipie-ს (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები; ა) სავალდებ.: 1) ბუხალტერია (ებრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, საექვსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რომნგტოხი და ახვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეედვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. ოდგანაც დიდ-ძალი მსმენელები მოაწყდა, იხსნება მეორე პარალელური განყ., რომელიც ქალაქ გარეთელთათვის უფრო სახეხოა. მეცადინეობა დაიწყება 15 ინვარიდან. პროგრამები და წესები მიეცემთ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

(4—1668—1)

ხელსაქმის
ქ. რიგის მაღაზია

ა.-ის მინასი.

ტფილისი, განოვის ქ., № 6.

მიღებულია

აუარეგელი ახალი რამ. (10.1618.5)

საგაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის
საბუჰალტრო კურსები

აოსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუჰჰლტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუხალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, საექვსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონ.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5 7 ს.-მდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს; ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, **ტელეფონი № 744.**

(10.1652.3)

სნეულთა

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზეოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა**, ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეიერო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი“**.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“-ს** დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისაშერ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, საცა აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и С-вя.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С. Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
Метцъ и К° № 95425. (12.1481.9)

საფურადღებოდ

„ოგანიანის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

კედლის კალენდარი 1912 წლისა,

შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, ასუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს.** ფ ა ს ი კი ისევ ძველებურია **40 კაპ.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფ ა ს ი 20 კ.“

პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе. (20. 1594. 16)